



მოწვევა ინტერესთა გამოხატვაზე

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლების გადაცემაზე (არაექსკლუზიური მგზავრთა გადაყვანის უფლება)


შპს “საქართველოს აეროპორტების გაერთიანება” დაინტერესებულია გასცეს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში, მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლება - არაექსკლუზიური უფლება, ყველა იმ პირზე ვინც დააკმაყოფილებს მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს, გამოხატოს ინტერესი შესაბამისი უფლების მიღებაზე.

ყველა შეკითხვა და მოთხოვნა უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
business@airports.ge

განცხადება მგზავრთა გადაყვანის უფლების მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტი, (აეროპორტის დასახლება);

განცხადების წარმოდგენა ასევე დასაშვებია შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
business@airports.ge;
ასეთ შემთხვევაში აუცილებელია მიმღების მხრიდან შესაბამისი მეილის მიღების დადასტურების არსებობა

გამოქვეყნების თარიღი:
4 მაისი, 2018 წელი



დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში
მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლების გადაცემა
არაექსკლუზიური მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის პირობები

2018 წელი

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში

მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლების გადაცემა

არაექსკლუზიური მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის პირობები

წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა, თუ კონტექსტიდან ან პირდაპირი მითითებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს:

- „აეროპორტების გაერთიანება“ – შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (ს/კ 404 389 693);
- „აეროპორტი“ – დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;
- „მგზავრთა გადაყვანის უფლება“ – აეროპორტში მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლება, რომელიც გაიცემა მგზავრთა გადაყვანის უფლების პირველადი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში და ძალაში შედის (იძლევა ოპერირების განხორციელების უფლებას) მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობების დაკმაყოფილების თარიღიდან შესაბამის ვადაში;
- „ოპერატორი“ ან „აეროპორტის ოფიციალური გადამყვანი“ – მგზავრთა გადაყვანის უფლების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც სარგებლობს შესაბამისი უფლებებით და აკისრია მხარეთა შორის შეთანხმებული ვალდებულებები;
- „მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობები“ - წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ყველა პირობა;
- „მგზავრთა გადაყვანის უფლების პირველადი პირობები“ - მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს მგზავრთა გადაყვანის უფლების მისაღებად (ხელშეკრულების გასაფორმებლად), არაუგვიანეს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ვადისა;
- „მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობები“ - მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების ის ნაწილი, რომელიც დაინტერესებულმა პირმა უნდა დააკმაყოფილოს მგზავრთა გადაყვანის უფლების ძალაში შესასვლელად, არაუგვიანეს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ვადისა;
- „მგზავრთა გადაყვანის უფლების დამატებითი პირობები“ - მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების ის ნაწილი, რომელთა დაცვის ვალდებულებაც ოპერატორს წარმოეშობა მგზავრთა გადაყვანის უფლების ძალაში შესვლის მომენტიდანვე;
- „მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებელი“ – მგზავრთა გადაყვანის უფლების სანაცვლოდ, ოპერატორის მიერ აეროპორტების გაერთიანებისთვის გადასახდელი თანხები.
- „სატრანსპორტო საშუალება“ – ოპერატორის კუთვნილი ან მის სარგებლობაში არსებული ავტობუსი ან მიკრო-ავტობუსი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობებით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნას.

1. მგზავრთა გადაყვანის უფლება

- 1.1. მგზავრთა გადაყვანის უფლების ძალაში შესვლა გულისხმობს “აეროპორტის ოფიციალური გადამყვანის” სტატუსის მიღებას, რაც უკავშირდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულების აუცილებლობას და შესაბამის პასუხისმგებლობას.
- 1.2. მგზავრთა გადაყვანის უფლება ანუ აეროპორტში მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლება არ არის ექსკლუზიური და აეროპორტების გაერთიანების მიერ მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემა მოხდება ყველა იმ პირზე, რომელიც დადგენილ ვადაში მიმართავს მას და სრულად დააკმაყოფილებს დადგენილ მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობებს.

2. მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის წესი

- 2.1. აეროპორტების გაერთიანებისთვის მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის მოთხოვნით მიმართვა შესაძლებელია წელიწადში ერთხელ, წინასწარ განსაზღვრულ ვადაში, კერძოდ, მიმართვა მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის მოთხოვნით 2018 წელს შეიძლება განხორციელდეს 7 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით ვადაში, ხოლო 2019 წელსა და ყველა შემდგომ წელს მოთხოვნის წარდგენა შესაძლებელია 15 იანვრიდან 15 თებერვლამდე ვადაში.
- 2.2. მგზავრთა გადაყვანის უფლების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს აეროპორტების გაერთიანებას წერილობითი განცხადებით, გადაიხადოს განაცხადის წარდგენის საფასური და წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია (ასევე სხვა აუცილებელი ინფორმაცია და მასალები), რომლითაც დადასტურდება რომ ის აკმაყოფილებს შემდეგ მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობებს:

მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებებისა და პერსონალის მიმართ:

- დაინტერესებულ პირს, ან დაინტერესებული პირის 50%-ზე მეტი წილის მქონე პარტნიორს და მენეჯმენტს უნდა გააჩნდეს არანაკლებ 2 წლიანი გამოცდილება სატრანსპორტო საქმიანობის (მათ შორის, მგზავრთა არაერთგვარადი და ორგანიზებული გადაყვანის) წარმართვის სფეროში. მენეჯმენტის გამოცდილების პირობის დასაკმაყოფილებლად საკმარისია დასტურდებოდეს უშუალოდ დირექტორის შესაბამისი გამოცდილება.
ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, გამოცდილებაში იგულისხმება აღნიშნული საქმიანობის მენეჯმენტის გამოცდილება, მათ შორის, მისი თანმდევი ადმინისტრაციული, ფორმალური თუ ტექნიკური საკითხებისა.
- დაინტერესებულ პირს საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში უნდა ჰქონდეს შესაბამისი რაოდენობის (არსებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი), ხარისხის და ტექნიკური მახასიათებლების მქონე სატრანსპორტო საშუალებები.
- სატრანსპორტო საშუალებები უნდა იყოს ქარხნული წარმოების, გამართულ მდგომარეობაში, ტექნიკური და ვიზუალური დაზიანებების გარეშე, აღჭურვილი კონდიციონერებისა და გათბობის სისტემით. სატრანსპორტო საშუალების სალონი და გარე ვიზუალი უნდა იყოს სუფთა, კუსტარული გადასაკრავებისა და მოპირკეთების გარეშე. სალონი გაწყობილი უნდა იყოს რბილი და ხმაურჩამხშობი გადასაკრავით. არ უნდა იყოს ტრამვასაშიში კონსტრუქციული ელემენტები.

- არ დაიშვება არაქარხნული წესით დამონტაჟებული რაიმე სახის დამატებები ან განხორციელებული ცვლილებები, გარდა სპეციალური ქარხნული წესით დამზადებული იმ საბარგო მოწყობილობებისა, რომელიც შესაძლებელია დამაგრდეს სატრანსპორტო საშუალებაზე.
- არ დაიშვება 2000 წლამდე გამოშვებული სატრანსპორტო საშუალებები. არ დაიშვება მარჯვენა საჭიანი სატრანსპორტო საშუალებები.
- სატრანსპორტო საშუალებებიდან ავტობუსი უნდა იყოს არანაკლებ 25 ადგილიანი, ხოლო მიკრო-ავტობუსი არანაკლებ 15 ადგილიანი. მითითებული ადგილების რაოდენობა გულისხმობს უშუალოდ მგზავრებისთვის გათვალისწინებული დასაჯდომი ადგილების რაოდენობას. აკრძალულია არაქარხნული წესით დამონტაჟებული / ჩადგმული დასაჯდომი ადგილების გამოყენება.
- დაინტერესებული პირი ვალდებულია წარმოადგინოს სატრანსპორტო საშუალებების ტექდათვალიერების გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- სატრანსპორტო საშუალების ყველა სავარძელი უნდა იყოს კომფორტული და გააჩნდეს უსაფრთხოების ღვედი.
- სატრანსპორტო საშუალება გადაადგილებისათვის არ უნდა იყენებდეს თხევად ან ბუნებრივ აირს. სატრანსპორტო საშუალება შეიძლება იყოს დიზელზე, ბენზინზე ან/და ელექტრო ძრავით.
- სატრანსპორტო საშუალების მძღოლებს უნდა გააჩნდეთ შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა და შესაბამისი კატეგორიის მძღოლად მუშაობის არანაკლებ 5 (ხუთი) წლიანი გამოცდილება;
- დაინტერესებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს „დისპეტჩერის“ მომსახურება მგზავრთა ჩასხდომის და გადმოსხდომის ყველა წერტილში, რომელიც სულ მცირე საკომუნიკაციო დონეზე მაინც უნდა ფლობდეს ქართულ და ინგლისურ ენებს;
- მძღოლები უნდა ფლობდნენ ქართულ ენას. ასევე სასურველია, მძღოლები საკომუნიკაციო დონეზე ფლობდნენ ინგლისურ ენასაც.

ზემოაღნიშნულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია, რომელიც უტყუარად ადასტურებს ამ პირობებთან მის შესაბამისობას. ასევე აეროპორტის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, უშუალოდ დაათვალიერონ დაინტერესებული პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ასევე განახორციელონ დაინტერესებული პირის მენეჯმენტის, პერსონალისა თუ ქვეკონტრაქტორების ინტერვიუება წინამდებარე პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- დაინტერესებული პირი აეროპორტში სატრანსპორტო საშუალებებს განათავსებს მხოლოდ საამისოდ სპეციალურად გამოყოფილ ადგილას. დანიშნულების ქალაქებში ბოლო გაჩერებისა და აღნიშნულ ქალაქებში მგზავრთა ჩასხდომის ადგილებიც უნდა შეთანხმდეს აეროპორტების გაერთიანებასთან;

2.3. აეროპორტების გაერთიანება დაინტერესებული პირის განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტაციას განიხილავს მხოლოდ განაცხადის წარდგენის საფასურის - 3000

ლარის გადახდის შემთხვევაში. აღნიშნული თანხა ირიცხება აეროპორტების გაერთიანების ანგარიშზე, წარმოადგენს განცხადების განხილვისთვის დადგენილ საფასურს, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბრუნებას მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული წარდგენილ მოთხოვნასთან დაკავშირებით.

- 2.4. აეროპორტების გაერთიანება დაინტერესებული პირის განცხადებას განიხილავს, განცხადების წარდგენის თარიღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 2.5. იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირი არ აკმაყოფილებს მგზავრთა გადაყვანის უფლების პირველად პირობებს, აეროპორტების გაერთიანება დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს დამატებით ვადას 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ოდენობით, ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ასეთ შემთხვევაში განცხადების ხელმეორე განხილვა მოხდება ხარვეზების აღმოსაფხვრელად დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. თუ აღმოჩნდება, რომ პირმა ვერ აღმოფხვრა ხარვეზები დადგენილ ვადაში, მასზე არ გაიცემა მგზავრთა გადაყვანის უფლება და არ გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება. ასეთი პირი უფლებამოსილია განმეორებით მიმართოს აეროპორტების გაერთიანებას მომდევნო წელს, წინამდებარე დოკუმენტში მითითებულ ვადებში.
- 2.6. იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირი აკმაყოფილებს მგზავრთა გადაყვანის უფლების პირველად პირობებს, აეროპორტების გაერთიანება ასეთ პირს მოიწვევს ხელშეკრულების გასაფორმებლად და აღნიშნული მიზნით განუსაზღვრავს ვადას, რომელიც არ უნდა იყოს 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე ნაკლები. ხელშეკრულება გაფორმდება წინამდებარე დოკუმენტზე დანართი №1-ის სახით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.
- 2.7. დაინტერესებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმება ნიშნავს აღნიშნულ პირზე მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემას, რომელიც ძალაში შევა ქვემოთ მოცემული წესის შესაბამისად.

3. ოპერირების დაწყების წესი

- 3.1. მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის ანუ ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში ოპერატორმა უნდა დააკმაყოფილოს მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობები (მათ შორის, ამ 30 დღეში უნდა შეათანხმოს აეროპორტთანაც ის საკითხები, რაც საჭიროებს შეთანხმებას) და უნდა მიმართოს აეროპორტების გაერთიანებას და წარადგინოს დოკუმენტაცია (სხვა აუცილებელი ინფორმაცია და მასალები), რომლითაც დადასტურდება რომ ის აკმაყოფილებს მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობებს, კერძოდ:

მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებებისა და პერსონალის მიმართ:

- ოპერატორმა სატრანსპორტო საშუალებები საკუთარი სახსრებით უნდა გააფორმოს ბრენდირებული სტიკერით, რომლითაც მგზავრს მიეწოდება ინფორმაცია, რომ აღნიშნული კომპანია წარმოადგენს აეროპორტის ოფიციალურ გადაყვანს. სტიკერის დიზაინი ბრენდირების პროცესში უნდა შეთანხმდეს აეროპორტების გაერთიანებასთან.

- სატრანსპორტო საშუალების მძღოლები უნდა იყვნენ შემოსილები სპეციალური უნიფორმით, რომლის დიზაინი ბრენდირების პროცესში უნდა შეთანხმდეს აეროპორტების გაერთიანებასთან;

მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- ოპერატორი ვალდებულია აეროპორტების გაერთიანებასთან შეთანხმოს მარშრუტი და შესაბამისი განრიგი. ამასთანავე სავალდებულოა რეისების დანიშვნა შემდეგ მიმართულებებზე:
 - აეროპორტი - თბილისი;
 - თბილისი - აეროპორტი;
 - აეროპორტი - ქუთაისი;
 - ქუთაისი - აეროპორტი;
 - აეროპორტი - ბათუმი;
 - ბათუმი - აეროპორტი;

აეროპორტების გაერთიანება არ არის უფლებამოსილი დაუსაბუთებელი უარი უთხრას ოპერატორს, რომელსაც სურს დამატებით სხვა მიმართულებებით მგზავრების გადაყვანა.
- ოპერატორმა უნდა გამართოს ბილეთების დაჯავშნის ონლაინ სისტემა და კომპანიის შესახებ სრული ინფორმაციის შემცველი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც ასევე განთავსდება მგზავრთა გადაყვანისთვის საჭირო ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის დროის ან სხვა სახის ცვლილებების შესახებ.
- ოპერატორმა უნდა გამართოს 24 საათიანი სატელეფონო საინფორმაციო მომსახურება. ინფორმაციის მიწოდება უნდა ხდებოდეს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- სატრანსპორტო საშუალების სალონში, მგზავრისთვის თვალსაჩინო ადგილზე უნდა განთავსდეს ე.წ. „საინფორმაციო ფურცელი“ სადაც მითითებული იქნება: მძღოლის სახელი და გვარი (ფოტოსურათი სავალდებულოა), ოპერატორის სახელწოდება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ასევე მგზავრობის ფასები მიმართულებების მიხედვით და განრიგი. შესაბამისი ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.
- ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა, ლიმიტით არანაკლებ 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი (არაუმეტეს 1%-იანი ფრანშიზით), ასევე ტრანსპორტით გადაყვანის დროს მგზავრების სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაზღვევა, ლიმიტით არანაკლებ 5 000 (ხუთ ათასი) ლარი თითოეულ მგზავრზე (არაუმეტეს 1%-იანი ფრანშიზით) და ჯამური ლიმიტით 300 000 (სამასი ათასი) ლარი წლის მანძილზე იმგვარად, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ჯამურად შესაძლებელი იყოს ერთდროულად სულ მცირე 100 მგზავრისათვის სადაზღვევო თანხის გადახდის შესაძლებლობა.
- ოპერატორმა უნდა შეიმუშაოს საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა და შეთანხმოს ის აეროპორტების გაერთიანებასთან. საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმა გულისხმობს მგზავრების ტრანსპორტირებას სატრანსპორტო საშუალების ნებისმიერ ადგილას დაზიანების ან მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში. გასათვალისწინებელია, რომ ასეთ შემთხვევაშიც, მგზავრების

ტრანსპორტირება უნდა მოხდეს ხელშეკრულების იმ პირობათა დაცვით, რომელთა დაცვაც გონივრულად შესაძლებელია და არსებითად არ უნდა აუარესებდეს მგზავრების მდგომარეობას, ასეთი მგზავრობა უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

- 3.2. აეროპორტების გაერთიანება ოპერატორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას (სხვა აუცილებელ ინფორმაციას და მასალებს) განიხილავს, მათი წარდგენის თარიღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
- 3.3. იმ შემთხვევაში თუ ოპერატორი არ აკმაყოფილებს მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობებს, აეროპორტების გაერთიანება ოპერატორს განუსაზღვრავს დამატებით ვადას 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ოდენობით, ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ასეთ შემთხვევაში განცხადების ხელმეორედ განხილვა მოხდება ხარვეზების აღმოსაფხვრელად განხორციელებული მიმართვის და დამატებითი ინფორმაციის წარდგენის თარიღიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. თუ პირი ვერ აღმოფხვრის ხარვეზებს დადგენილ ვადაში გაცემული მგზავრთა გადაყვანის უფლება გაუქმდება (ხელშეკრულება შეწყდება) შეუსრულებლობის საფუძველით.
- 3.4. იმ შემთხვევაში თუ ოპერატორი აკმაყოფილებს მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობებს, აეროპორტების გაერთიანება ასეთ პირს 3.2 – 3.3. პუნქტებით დადგენილ ვადაში გაუგზავნის ოფიციალურ დადასტურებას მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე.
- 3.5. მგზავრთა გადაყვანის უფლება ძალაში შედის ოფიციალური დადასტურების გაგზავნის თარიღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში და ანიჭებს ოპერატორს უფლებას დაიწყოს მგზავრთა გადაყვანა.

4. ოპერირების წესი

- 4.1. მგზავრთა გადაყვანის უფლების ძალაში შესვლის მომენტიდან ოპერატორი ვალდებულია მგზავრთა გადაყვანის უფლების პირველად პირობებთან და მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობებთან ერთად დაიცვას შემდეგი მგზავრთა გადაყვანის უფლების დამატებითი პირობებიც:

მოთხოვნები სატრანსპორტო საშუალებებისა მიმართ:

- მგზავრთა გადაყვანა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებებით, რომლებიც წინასწარ შეთანხმდება აეროპორტების გაერთიანებასთან; აეროპორტების გაერთიანება მის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ტერიტორიებზე არ დაუშვებს მგზავრთა გადაყვანის უფლების მქონე პირების იმ სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებიც წინასწარ არ იქნება შემოწმებული წინამდებარე მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობებთან შესაბამისობის თვალსაზრისით და არ იქნება გაცემული თანხმობა ამ საშუალებით მგზავრთა გადაყვანის თაობაზე.

მომსახურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები:

- ოპერატორი ვალდებულია მგზავრთა გადაყვანის უფლების ძალაში შესვლის თარიღიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში დაიწყო ოპერირება (მგზავრთა გადაყვანა ყველა შეთანხმებული მიმართულებით და ამ პირობებში გაწერილი ყველა თანმდევი სერვისის ამოქმედება);
- მგზავრთა გადაყვანა უნდა განხორციელდეს მხოლოდ იმ მიმართულებებზე, რომლებიც წინასწარ შეთანხმდება აეროპორტების გაერთიანებასთან;
- ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს აეროპორტში არანაკლებ 1 (ერთი) ავტობუსი ყოველი რეგულარული რეისის ჩამოფრენისას, თითოეულ ძირითად მიმართულებაზე ცალ-ცალკე. ოპერატორი უფლებამოსილია ავტობუსი ჩანაცვლოს მიკრო-ავტობუსით, იმ შემთხვევაში, თუ მგზავრთა რაოდენობა იძლევა შესაძლებლობას გამოყენებულ იქნეს უფრო მცირე ზომის სატრანსპორტო საშუალება.
- ამავდროულად, ოპერატორი ვალდებულია, გაყიდული ბილეთების ანდა მგზავრთა რაოდენობის მიუხედავად გაუწიოს მგზავრებს შესაბამისი მომსახურება და შეასრულოს რეისი დადგენილი გრაფიკით და ჰყავდეს იმდენი სატრანსპორტო საშუალება, რამდენიც საჭირო იქნება მგზავრთნაკადის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად
- აეროპორტების გაერთიანება მოთხოვნის შემთხვევაში ოპერატორს გადასცემს ავიარეისების გრაფიკს. ოპერატორმა ისე უნდა დაგეგმოს თავისი განრიგი შესაბამის მარშრუტებზე, რომ უზრუნველყოს მგზავრთა მიყვანა აეროპორტში დაგეგმილი ავიარეისის გაფრენამდე 3 საათით ადრე და სატრანსპორტო საშუალებით სარგებლობა ავიარეისის შემდეგ, ჩამოფრენისთანავე.
- ოპერატორი ვალდებულია უზრუნველყოს მგზავრთა გადაყვანა უსაფრთხოების ნორმათა და სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისთვის დადგენილი წესების დაცვით.
- ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა დაბრკოლებების გარეშე გააჩნდეთ შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირებსაც.
- სხვადასხვა მიმართულებით მგზავრობაზე დადგენილი ერთი გზის ფასი არ უნდა აღემატებოდეს: თბილისი – 20 ლარი; ქუთაისი – 5 ლარი; ბათუმი – 15 ლარი. სხვა მიმართულებაზე ტრანსპორტირების სურვილის შემთხვევაში, ოპერატორმა წინასწარ უნდა შეათანხმოს ეს მიმართულებები და ბილეთის ფასები აეროპორტთან. ფასები უნდა იყოს საბაზრო პირობების და ძირითად მარშრუტებზე არსებული ფასების ადექვატური. ოპერატორმა მგზავრზე უნდა გასცეს გადახდის ჩეკი და საჭიროების შემთხვევაში ინვოისიც. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს პლასტიკური ბარათით ანგარიშსწორებაც უშუალოდ ჩასხდომის ადგილების ტერიტორიაზე.
- ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს ბაზარზე კონკურენტული გარემოს შენარჩუნება. ოპერატორი უფლებამოსილია შეიმუშაოს ფასდაკლების კონცეფცია, რომელიც ატარებს მხოლოდ დროებით ხასიათს და ემსახურება კომპანიის რეკლამირებისა და მგზავრთა მოზიდვის მიზანს, გონივრულ ვადებში და გონივრულ ფასად.
- ოპერატორს ეკრძალება გაყიდოს ბილეთი და გადაიყვანოს მგზავრი თუ არ აქვს თავისუფალი დასაჯდომი ადგილი.

- მგზავრობისას სატრანსპორტო საშუალებაში უნდა იქნას შენარჩუნებული მგზავრობისთვის მაქსიმალურად კომფორტული ტემპერატურა.
- სატრანსპორტო საშუალებაში აკრძალულია თამბაქოს მოხმარება და მუსიკის ჩართვა.
- ორ პუნქტს შორის მგზავრთა ტრანსპორტირებისას სატრანსპორტო საშუალება შეჩერდება მხოლოდ ისეთ ადგილებში, რომელიც წინასწარ იქნება შეთანხმებული აეროპორტების გაერთიანებასთან.
- ოპერატორს ეკრძალება დამატებით მგზავრთა აყვანა გზად, შესაბამის მარშრუტზე მგზავრობისას.
- ოპერატორი ვალდებულია მგზავრობისას სატრანსპორტო საშუალებაში უზრუნველყოს მგზავრებისთვის სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა, იმ პირობით, რომ საფასური იქნება ბაზარზე არსებულ ფასთან მაქსიმალურად მიახლოებული.
- ოპერატორმა უნდა გამოიყენოს თავისი ძალისხმევა აეროპორტში ოპერირებად ავიაკომპანიებთან თანამშრომლობისთვის, რათა მოხდეს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების მიზმა მათ ონლაინ დაჯავშნის სისტემებთან.

5. მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებელი

- 5.1.** მგზავრთა გადაყვანის უფლების ძალაში შესვლის თარიღიდან, ოპერატორი აეროპორტების გაერთიანებას 5.2 პუნქტით დადგენილი ოდენობით გადაუხდის მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებელს.
- 5.2.** მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ძალაში შესული მგზავრთა გადაყვანის უფლების რაოდენობის მიხედვით, კერძოდ თუ აეროპორტში ოპერირებს:
- მხოლოდ ერთი ოპერატორი, ყოველთვიური გადასახდელი თანხა შეადგენს 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
 - ერთდროულად 2 (ორი) ოპერატორის არსებობის შემთხვევაში, თითოეული მათგანის მიერ ყოველთვიური გადასახდელი თანხა შეადგენს 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
 - ერთდროულად 3 (სამი) ან მეტი ოპერატორის არსებობის შემთხვევაში, თითოეული მათგანის მიერ ყოველთვიური გადასახდელი თანხა შეადგენს 5 000 (ხუთი ათას) ლარს დღგ-ს ჩათვლით;
- 5.3.** მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებლის ფასში შევა არაუმეტეს 3 მ² თავისუფალი სივრცე ან სალარო-დახლი არანაკლებ 3 მ², აეროპორტების გაერთიანების მიერ განსაზღვრულ ადგილას. თავისუფალ სივრცეზე შესაძლებელი იქნება ოპერატორის მიერ მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება მგზავრებისთვის მომსახურების გასაწევად. მსუბუქი კონსტრუქციის მასალები და ვიზუალური მხარე (ბრენდირება) უნდა შეთანხმდეს აეროპორტების გაერთიანებასთან. სალარო-დახლის ბრენდირებაც უნდა შეთანხმდეს აეროპორტების გაერთიანებასთან.
- 5.4.** 2019 წლიდან პუნქტ 5.2-ში მითითებული ოდენობები გაიზრდება იმ შემთხვევაში თუ 2018 წელს იქნება მგზავრთანაკადის ზრდა 2017 წლის მონაცემებთან მიმართებაში. ზრდა განხორციელდება იმ პროცენტის ეკვივალენტური ოდენობით, რა ოდენობითაც გაიზრდება მითითებული წლის მგზავრთანაკადი შესაბამის წელთან მიმართებაში, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუმეტეს 10%-ის ოდენობით. იგივე წესი ვრცელდება 2020 და 2021 წლებზეც, მაგალითად თუ 2019 წლის მგზავრთანაკადი გაიზრდება 2018

წლის მგზავრთნაკადთან მიმართებაში, 2020 წლიდან შესაბამისი პროცენტით გაიზარდა ის ფასები, რომლებიც მოქმედებდა 2019 წლისთვის, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში არაუმეტეს 10%-ის ოდენობით.

- 5.5. მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემიდან (ხელშეკრულების გაფორმებიდან) 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ოპერატორმა უნდა უზრუნველყოს 35 000.00 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ავანსის წარმოდგენა აეროპორტების გაერთიანების ანგარიშზე, რომელიც ჩაითვლება მგზავრთა გადაყვანის უფლების ვადის ბოლო თვეების მოსაკრებლის ანგარიშში. ასევე ამ თანხიდან დაკავდება ოპერატორისათვის დაკისრებული ჯარიმები და პირგასამტეხლოები, ოპერატორის მიერ მათი გადაუხდელობის შემთხვევაში. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მგზავრთა გადაყვანის უფლება გაუქმდება (შეწყდება ხელშეკრულება) დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე, მაგრამ მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების სხვა მოთხოვნების მიუხედავად აღნიშნული არ გამოიწვევს რაიმე სახის ფინანსურ პასუხისმგებლობას ოპერატორისთვის.
 - 5.6. ოპერატორმა მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებლის დადგენილი ოდენობით გადახდა უნდა მოახდინოს ყოველთვიურად, წინასწარ, საანგარიშო თვის 5 რიცხვამდე. იმ შემთხვევაში თუ მის მიერ არ იქნება ჩარიცხული აღნიშნული თანხა დადგენილ ვადაში, ოპერატორს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით.
 - 5.7. იმ შემთხვევაში თუ ოპერატორი საანგარიშო თვის ბოლომდე არ მოახდენს ანგარიშსწორებას, აეროპორტების გაერთიანება უფლებამოსილია გაუგზავნოს მას შეტყობინება საანგარიშო თვის მომდევნო თვის ბოლოდან მგზავრთა გადაყვანის უფლების გაუქმების შესახებ. ასეთ შემთხვევაში აეროპორტების გაერთიანება უფლებამოსილია საანგარიშო თვისა და მომდევნო თვის მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებელი აინაზღაუროს 5.5 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი თანხებიდან. აღნიშნული თანხები ასევე გამოყენებულ იქნება დარიცხული პირგასამტეხლოების ანაზღაურების მიზნით. ასეთ შემთხვევაში აეროპორტი გაანაღდებს 9.2. პუნქტით განსაზღვრულ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებასაც.
6. მგზავრთა გადაყვანის უფლების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი
 - 6.1. წინამდებარე მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები და გაცემული მგზავრთა გადაყვანის უფლება მოქმედია 2021 წლის 1 მაისამდე, მათი გაცემის თარიღის მიუხედავად.
 - 6.2. პუნქტი 6.1-ში აღნიშნული ვადის ამოწურვამდე, აეროპორტების გაერთიანება ხელახლა გამოაცხადებს მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობებს მითითებული თარიღის მომდევნო პერიოდის ოპერირების მიზნებისთვის. წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში გაცემული მგზავრთა გადაყვანის უფლების მქონე ოპერატორი კომპანიები, სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად, უფლებამოსილი იქნებიან მიმართონ აეროპორტების გაერთიანებას მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის მოთხოვნით განახლებული პირობებითა და წესით. იმ შემთხვევაში თუ პირი არ მიმართავს აეროპორტების გაერთიანებას წინამდებარე პუნქტის შესაბამისად, 6.1 პუნქტში მითითებული თარიღის დადგომისთანავე მას შეუწყდება ოპერირების უფლება.

- 6.3.** ოპერატორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე და შეწყვიტოს ოპერირება, თუ აღნიშნულის თაობაზე 2 (ორი) თვით ადრე წერილობითი ფორმით შეატყობინებს აეროპორტების გაერთიანებას. ასეთ შემთხვევაში ოპერატორს არ დაეკისრება ხელშეკრულების შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა და გაუქმდება შესაბამისი მგზავრთა გადაყვანის უფლება (შეწყდება ხელშეკრულება). მგზავრთა გადაყვანის უფლების აღნიშნული საფუძვლით გაუქმების (ხელშეკრულების შეწყვეტის) შემთხვევაში 9.2 პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება დაუბრუნდება ოპერატორს.
- 6.4.** ოპერატორის მხრიდან უარი მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების შესრულებაზე ან ოპერირების შეწყვეტა 6.1 პუნქტში მითითებული თარიღის დადგომამდე და 6.3 პუნქტით დადგენილი აეროპორტების გაერთიანების წინასწარ გაფრთხილებისთვის დადგენილი ვადის დარღვევით, იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას. კერძოდ, აეროპორტების გაერთიანება გამოიყენებს 9.2 პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილ შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას და გააუქმებს შესაბამის მგზავრთა გადაყვანის უფლებას (შეუწყვიტავს ხელშეკრულებას ოპერატორს).
- 6.5.** ოპერატორი ვალდებულია, უზრუნველყოს ყველა მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობის მუდმივი დაცულობა მგზავრთა გადაყვანის უფლების მოქმედების მთელ პერიოდში და არა მხოლოდ მისი განაცხადის განხილვის ამა თუ იმ ეტაპზე. შესაბამისად, მას შემდეგ რაც მგზავრთა გადაყვანის უფლება შევა ძალაში (პუნქტი 3.5-ის საფუძველზე) და ეს უკანასკნელი დაარღვევს მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობას, არ აღმოფხვრის ხარვეზს აეროპორტების გაერთიანების მიერ განსაზღვრულ დამატებით გონივრულ ვადაში, აღნიშნული გამოიწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას. კერძოდ, აეროპორტების გაერთიანება გამოიყენებს 9.2 პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილ შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას და გააუქმებს შესაბამის მგზავრთა გადაყვანის უფლებას (შეუწყვიტავს ხელშეკრულებას ოპერატორს).
- 6.6.** აეროპორტების გაერთიანება უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ან მისი უფლებამონაცვლის მიერ დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ქონების შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ კაპიტალიდან ამოღების ან აეროპორტების გაერთიანების მიერ ხელშეკრულების მოშლის თაობაზე ცალმხრივი ნების გამოვლენის შემთხვევაში. ხელშეკრულების ამ საფუძველებით მოშლის ვადა უნდა იყოს არაუმეტეს 2 (ორი) თვე მოშლის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან.

7. პასუხისმგებლობა

- 7.1.** იმ შემთხვევაში თუ ოპერატორი დაარღვევს მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობით გათვალისწინებულ ვალდებულებას, ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვადის განსაზღვრასთან ერთად, მას დაეკისრება პირგასამტეხლო, 200 ლარის ოდენობით თითოეულ ვალდებულებაზე ცალ-ცალკე, ერთჯერადად. აეროპორტების გაერთიანება უფლებამოსილია დარღვევის შინაარსის გათვალისწინებით შეუჩეროს ოპერირების უფლება ოპერატორს, ხარვეზის აღმოფხვრამდე, რაც არ ათავისუფლებს ამ უკანასკნელს შესაბამისი პერიოდისთვის მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებლის გადახდისგან.

- 7.2. ზემოაღნიშნული არ ეხება მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას, რომელიც რეგულირდება სპეციალური მუხლით.
- 7.3. იმ შემთხვევაში, თუ ოპერატორს კალენდარული წლის განმავლობაში სამჯერ დაეკისრება პირგასამტეხლო არსებითი ვალდებულებების დარღვევისთვის, აეროპორტების გაერთიანება უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე (ხარვეზის აღმოსაფხვრელად) გააუქმოს მგზავრთა გადაყვანის უფლება (შეწყვიტოს ხელშეკრულება) შეუსრულებლობის საფუძველით. აეროპორტების გაერთიანება უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს 9.2 პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალება.
- 7.4. ერთი ინსპექტირების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოები სხვადასხვა არსებით ვალდებულებებზე, არ იქნება ჩათვლილი ცალ-ცალკე დარღვევად 7.3 პუნქტში მითითებული წლიური დარღვევების ჯამური ოდენობის დაანგარიშების მიზნებისთვის.

8. მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების ცვლილება

- 8.1. მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობები შესაძლებელია შეიცვალოს ცალმხრივად აეროპორტების გაერთიანების მხრიდან, იმ პირობით, რომ ასეთი ცვლილება განხორციელდება ყველა ოპერატორისთვის და ცვლილების ძალში შესვლამდე არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ეცნობება ყველა ოპერატორს.
- 8.2. ცვლილება არ შეიძლება შეეხოს მხოლოდ მგზავრთა გადაყვანის უფლების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრის წესს, რომელიც არ შეიცვლება 6.1 პუნქტში მითითებული თარიღის დადგომამდე.
- 8.3. აეროპორტების გაერთიანება განიხილავს მგზავრობაზე დადგენილი ერთი გზის მაქსიმალური ფასის ცვლილების საკითხს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში მნიშვნელოვნად გაიზარდა საწვავის საბაზრო ღირებულება, სულ მცირე 20%-ით მაინც. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით მხარეები აცხადებენ, რომ არაფერი ამ დოკუმენტში არ ავალდებულებს აეროპორტების გაერთიანებას მოახდინოს ასეთი ზღვრული თანხების ცვლილება.

9. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

- 9.1. აეროპორტების გაერთიანება უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეამოწმოს ოპერატორი და მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხარისხი. ოპერატორი ვალდებულია უმოკლეს ვადებში გამოასწოროს გამოვლენილი ხარვეზები.
- 9.2. ოპერატორი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ანგარიშზე თანხის შეტანის გზით, რომელიც პირს დაუბრუნდება ხელშეკრულების ვადის გასვლიდან ან ამ პირობების 3.3., 5.5., 6.3. ანდა 6.6. პუნქტებით ხელშეკრულების შეწყვეტიდან 7 დღის ვადაში. დაშვებულია თანხის ანგარიშზე შეტანის ნაცვლად ხელშეკრულების შესრულების მიზნით წარმოდგენილ იქნას უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტია. საბანკო გარანტიის ტექსტი უნდა შეთანხმდეს

აეროპორტების გაერთიანებასთან. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მგზავრთა გადაყვანის უფლება გაუქმდება (შეწყდება ხელშეკრულება) დამატებითი ვადის განსაზღვრის გარეშე, მაგრამ მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების სხვა მოთხოვნების მიუხედავად აღნიშნული არ გამოიწვევს რაიმე სახის ფინანსურ პასუხისმგებლობას ოპერატორისთვის. წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების გარანტია გამოყენებულ იქნება წინამდებარე მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების შესაბამისად. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის გამოყენება არ მოხდება იმ შემთხვევაში თუ ოპერატორი მგზავრთა გადაყვანის უფლების ძალაში შესვლამდე ვერ დააკმაყოფილებს მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობებს და ის დადგენილი წესით დაუბრუნდება ოპერატორს.

9.3. 9.2 პუნქტის საფუძველზე წარმოდგენილი შესრულების უზრუნველყოფის საშუალება გამოყენებული იქნება იმ შემთხვევაში თუ ოპერატორი შეწყვეტს ოპერირებას ნებისმიერი საფუძველით, გარდა 3.3., 5.5., 6.3 და 6.6 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძველისა. 3.3., 5.5., 6.3 და 6.6 პუნქტებით გათვალისწინებული წესით მგზავრთა გადაყვანის უფლების გაუქმების (ხელშეკრულების შეწყვეტის) შემთხვევაში შესრულების უზრუნველყოფის საშუალება შესაბამისი წესით დაუბრუნდება ოპერატორს.

10. გარდამავალი დებულებები

10.1. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით აეროპორტების გაერთიანება განმარტავს, რომ ოპერატორმა მგზავრთა გადაყვანის უფლების პირველადი პირობებისა და მგზავრთა გადაყვანის უფლების მეორე ეტაპის პირობების შესრულება უნდა უზრუნველყოს არამხოლოდ მგზავრთა გადაყვანის უფლების აღებისა და ოპერირების დაწყების მომენტებისთვის, არამედ მთელი ოპერირების მანძილზე მგზავრთა გადაყვანის უფლების დამატებით პირობებთან ერთად.

10.2. პირს, რომელსაც გაუუქმდა მგზავრთა გადაყვანის უფლება (შეუწყდა ხელშეკრულება) 3.3, 5.5, 5.7., 6.3, 6.4, 6.5, 7.3 ან 9.2 პუნქტებით გათვალისწინებული საფუძველით, არ დაუკმაყოფილდება შემდგომი განცხადებები წინამდებარე მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების ფარგლებში მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის მოთხოვნის შესახებ ასეთი პირი უფლებამოსილი იქნება მიმართოს აეროპორტების გაერთიანებას 6.2 პუნქტის შესაბამისად ხელახლა გამოცხადებული მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობების ფარგლებში.

10.3. აეროპორტების გაერთიანება იძლევა გარანტიას, რომ იმ პირებზე რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობებს არ მოხდება მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემა, ასევე დარღვევის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამის პირებს გაუუქმდებათ მგზავრთა გადაყვანის უფლება (შეუწყდებათ ხელშეკრულებები) დადგენილი წესით, მგზავრთა გადაყვანის უფლების არმქონე პირების სატრანსპორტო საშუალებები არ იქნებიან დაშვებული აეროპორტების გაერთიანების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ ტერიტორიებზე (გარდა ტურისტული მიზნით განთავსებული სატრანსპორტო საშუალებებისა, რომელიც გამიზნული იქნება მგზავრების კონკრეტული ჯგუფის გადასაყვანად და წინასწარ შეთანხმდება აეროპორტების გაერთიანებასთან, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში ცალ-ცალკე), მგზავრთა გადაყვანის უფლების არმქონე

პირებზე უძრავი და მოძრავი ქონება არ გაიცემა სარგებლობის უფლებით, აეროპორტში სატრანსპორტო მომსახურების შეთავაზების მიზნებისთვის.

აეროპორტების გაერთიანება არავითარი ფორმით არ იქნება პასუხისმგებელი, აეროპორტის ტერიტორიაზე მესამე პირების მიერ მგზავრებისთვის რაიმე სახის შეთავაზების განხორციელებაზე თუ დაცულია წინამდებარე პუნქტის მოთხოვნები.

10.4. აეროპორტების გაერთიანება იძლევა გარანტიას, რომ ყველა არსებულ ოპერატორს წერილობით შეატყობინებს იმ გარემოების შესახებ, რომ ახალ ოპერატორზე განხორციელდა მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემა. ასეთი შეტყობინება განხორციელდება არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შესაბამისი მგზავრთა გადაყვანის უფლების გაცემის თარიღიდან.

10.5. ოპერატორს არ აქვს უფლება აეროპორტების გაერთიანების წინასწარი თანხმობის გარეშე გადასცეს თავისი უფლება-მოვალეობები მესამე პირებს.

10.6. არ დაიშვება ერთობლივი საქმიანობის ფორმის (ამხანაგობა და მისთ.) ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედ პირთა გაერთიანება და ასეთი ფორმით აეროპორტების გაერთიანებისთვის მიმართვა მგზავრთა გადაყვანის უფლების მოპოვების მიზნით.

10.7. თანხების, მათ შორის განაცხადის წარდგენის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი: ს.ს. „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: **TBCBGE22**

მიმღების ანგარიში: **GE47TB0615536070100001**

მიმღების სახელი: შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“.

ხელშეკრულება N []

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლების (არაექსკლუზიური მგზავრთა გადაყვანის უფლება) გადაცემის თაობაზე

ქ. თბილისი

[]-[]-2018

ერთი მხრივ, შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტი (აეროპორტის დასახლება); საიდენტიფიკაციო ნომერი: 404389693) წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან ალექსიძის (პ/ნ 01010006105) სახით, შემდგომში „აეროპორტების გაერთიანება“

და

მეორე მხრივ, [] ([]), შემდგომში „ოპერატორი“,

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ სამეთვალყურეო საბჭოს 2018 წლის 12 მარტის N სს-01/2018 სხდომის ოქმის 3.14 პუნქტისა და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2018 წლის 04 მაისის N 5/25313 წერილის საფუძველზე,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1. აეროპორტების გაერთიანება კისრულობს ვალდებულებას დაინტერესებულ პირს გადასცეს მის საკუთრებაში არსებული, სამტრედიის რაიონში, სოფელ დიდ ჯიხაიში მდებარე დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის აეროპორტში მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლება (არაექსკლუზიური მგზავრთა გადაყვანის უფლება), ხოლო დაინტერესებული პირი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს შესაბამისი საფასური და შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მგზავრთა გადაყვანის უფლების პირობები შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორის 2018 წლის 04 მაისის N32 ბრძანების N1 დანართის პირობების შესაბამისად.
- 1.2. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებით მხარეები ადასტურებენ, რომ მგზავრთა გადაყვანის უფლების მისაღებად დაინტერესებულმა პირმა ინტერესთა გამოხატვის შესაბამისი დოკუმენტით დადგინდა ვადაში მიმართა აეროპორტების გაერთიანებას წერილობითი განცხადებით, გადაიხადა განაცხადის წარდგენის საფასური და წარადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია (ასევე სხვა აუცილებელი ინფორმაცია და მასალები), რომლითაც დადასტურდა რომ ის აკმაყოფილებს ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტით დადგენილ მგზავრთა გადაყვანის უფლების პირველად პირობებს.
- 1.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დაინტერესებულ პირთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული აეროპორტში სატრანსპორტო საშუალებით მგზავრთა გადაყვანის

უფლება ძალაში შედის შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორის 2018 წლის 04 მაისის N32 ბრძანების N1 დანართით გათვალისწინებული წესით, ყველა შესაბამისი პირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში.

- 1.4. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორის 2018 წლის 04 მაისის N32 ბრძანების N1 დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მასში მოცემული ყველა პირობა იმავდროულად წარმოადგენს ამ ხელშეკრულების პირობას, შესაბამისად, შესასრულებლად სავალდებულოა მხარეებისთვის.

2. შეტყობინებები

- 2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით გადასაცემი ნებისმიერი შეტყობინება წარმოდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარკვევით სხვაგვარად იქნება განსაზღვრული მხარეთა შეთანხმებით და უნდა ჩაბარდეს მხარეს ფოსტით ან/და ელ-ფოსტით. შეტყობინება მეორე მხარისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება:
 - 2.1.1. თუ მხარის მისამართზე გაიგზავნება ფოსტით და ჩაბარდება მხარის წარმომადგენელს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
 - 2.1.2. თუ მხარის მისამართზე გაიგზავნება ფოსტით არანაკლებ ორჯერ, მიუხედავად იმისა, ჩაიბარებს თუ არა მხარე გზავნილს;
 - 2.1.3. თუ მხარის მისამართზე გაიგზავნა ელ-ფოსტით - მიმღების მიერ ელ. გზავნილის მიღების დადასტურებისას.
- 2.2. შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ოპერატორის შემთხვევაში იურიდიულ, ფაქტობრივ ან აეროპორტების გაერთიანებისთვის ცნობილ ნებისმიერ სხვა მისამართზე ან ელ-მისამართზე, ხოლო აეროპორტების გაერთიანების შემთხვევაში გაგზავნა უნდა განხორციელდეს მის იურიდიულ მისამართზე.
- 2.3. მისამართის ცვლილების შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს აცნობონ ამის შესახებ არაუგვიანეს 1 კვირისა მისამართის შეცვლიდან. ცვლილების მეორე მხარისთვის შეტყობინებამდე მხარის მიერ წინა მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ჩაითვლება სწორ მისამართზე გაგზავნილად და ჩაბარებულად.

3. კორესპონდენცია

- 3.1. ყველა წერილობითი შეტყობინება, ანდა ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტი მხარეთა შორის იგზავნება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართებზე და მხარისათვის გზავნილის ჩაბარებად მიიჩნევა მისი ჩაბარება ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.
- 3.2. მხარისათვის გზავნილის ჩაბარებად შესაძლოა მიჩნეულ იქნას, ასევე, მისი გაგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ფოსტაზე გზავნილის მისვლის დადასტურება.
- 3.3. თუ გზავნილის გაგზავნისათვის დადგენილია ვადა, ეს ვადა არ ჩაითვლება დარღვეულად, თუ მის გასვლამდე გზავნილი ადრესატისათვის გასაგზავნად ჩაბარდება ფოსტას ან სხვა ანალოგიურ სუბიექტს.
- 3.4. მხარეთა შორის ფიზიკური დოკუმენტების სახით გაგზავნილი კორესპონდენცია ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის ხელმძღვანელის ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

4. დავის განხილვა

- 4.1. მხარეთა შორის ნებისმიერი დავა, რომელიც წარმოიშვა ამ ხელშეკრულების საფუძველზე უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით.

- 4.1. თუ მოლაპარაკების შედეგად ვერ მოხდა დავის აღმოფხვრა, დავის გადაჭრის მიზნით მხარე უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ფორს-მაჟორი

- 5.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულების დარღვევა გამოწვეულია მდგომარეობით, რომელთა გათვალისწინება და გადალახვა გონივრული მეთოდებით შეუძლებელია (ფორს-მაჟორული გარემოებანი). მათ შორის მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ქარიშხალი, დიდთოვლობა, ნისლი, ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება, სამხედრო მოქმედებები, ეპიდემიები, გაფიცვები, ბლოკადა, ემბარგო, და სხვა გარემოებები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 5.2. ფორს-მაჟორული გარემოების არსებობა უნდა იყოს საყოველთაოდ ცნობილი ანდა დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ; ხოლო ის, რომ ფორს-მაჟორული გარემოება გახდა ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზი, ვალდებულების დამრღვევი მხარის მტკიცების ტვირთს წარმოადგენს.
- 5.3. მხარე რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია, დაუყონებლივ აცნობოს მეორე მხარეს ზემოაღნიშნული გარემოების წარმოშობის, სახის და მოქმედების შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება უწყვეტად 2 კვირაზე, ხოლო ჯამურად წლის განმავლობაში 2 თვეზე მეტ ხანს, მხარეები უფლებამოსილი არიან მიიღონ გადაწყვეტილება წინამდებარე ხელშეკრულების შემდგომი ბედის შესახებ. თუ მხარეები ვერ მიიღებენ ორივე მხარისთვის მისაღებ გადაწყვეტილებას, თითოეულ მხარეს შეუძლია მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება. მეორე მხარეს ამ შემთხვევაში არა აქვს უფლება, მოსთხოვოს ხელშეკრულების მომშლელ მხარეს მოშლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

6. გარდამავალი დებულებები

- 6.1. წინამდებარე ხელშეკრულებს მხარეები მხარეთა შორის თანასწორობის საფუძვლებზე დაყრდნობით. “აეროპორტების გაერთიანება” აცხადებს, ხოლო ოპერატორი ეთანხმება, რომ დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთა სატრანსპორტო საშუალებით მომსახურების უფლების (არაექსკლუზიური მგზავრთა გადაყვანის უფლება) გადაცემის თაობაზე ინტერესთა გამოხატვის შესახებ დოკუმენტი შემუშავებულია არადისკრიმინაციულობისა და საჯაროობის პრინციპების შესაბამისად და ხელმისაწვდომია ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირისათვის, რომელიც დააკმაყოფილებს “აეროპორტების გაერთიანების” მიერ შემუშავებულ მოთხოვნებს.
- 6.2. მხარეები ადასტურებენ, რომ გააჩნიათ ყველა სათანადო ნებართვა თუ თანხმობა და აკმაყოფილებენ ყველა სათანადო პირობას იმისათვის, რომ დადონ ეს ხელშეკრულება. თუ რომელიმე მხარის ნების გამოვლენა ნაკლის მქონეა ამ თვალსაზრისით, ყოველგვარი პასუხისმგებლობა, რაც ამის გამო შეიძლება დადგეს, ეკისრება თავად ამ მხარეს.
- 6.3. ყოველგვარი ბუნდოვანების გამორიცხვის მიზნით, მხარეები ადასტურებენ, რომ აღნიშნული ხელშეკრულების არსებობა არ აუქმებს მხარეთა ვალდებულებას, აუნაზღაურონ ერთმანეთს მიყენებული ზიანი სრული მოცულობით.
- 6.4. ყველა იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
- 6.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეული ყოველი მხარისთვის.

7. მხარეთა რეკვიზიტები:

„აეროპორტების გაერთიანება“

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“

მისამართი: საქართველო, ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტი (აეროპორტის დასახლება).

ს.კ.: 404 389 693

საბანკო რეკვიზიტები: სს„თიბისი ბანკი“,

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა: GE47TB0615536070100001

ქეთევან ალექსიძე
დირექტორი

[]

[]

მისამართი: []

საბანკო რეკვიზიტები: []

ბანკის კოდი: []

ა/ა: []
